

პრაქტიკული მითითება №4

გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, სახელმძღვანელო

მართლმსაჯულების რეფორმა და გენდერი

შინაარსი

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი მართლმსაჯულების რეფორმისთვის?

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება მართლმსაჯულების რეფორმაში?

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

გენდერთან დაკავშირებული შეკითხვები მართლმსაჯულების რეფორმის შეფასებისთვის

დამატებითი ინფორმაცია

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო),
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების
საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გენდერული საკითხების ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის შეგრძნების და ლეგიტიმურობისთვის.

წინამდებარე პრაქტიკულ მითითებაში მოცემულია მოკლე შესავალი მართლმსაჯულების რეფორმაში გენდერის საკითხების ინტეგრაციის სარგებლის თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უფრო მოცულობით „ინსტრუმენტს“ ეფუძნება და ორივე მათგანი *გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს* ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ გენდერის საკითხების შესახებ ერთგვარი შესავალი გაკეთდეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მონაწილე პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემუშავებელი პირებისთვის, სახელმძღვანელო 12 ინსტრუმენტისგან შედგება, რომელთაგან თითოც პრაქტიკული შენიშვნა ახლავს თან – *იხილეთ დამატებითი ინფორმაცია*.

რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი მართლმსაჯულების რეფორმისთვის?

მართლმსაჯულების რეფორმა არა მარტო კანონმდებლობის რეფორმირებას, არამედ ასევე ისეთი პოლიტიკების, პროცედურებისა და მექანიზმების შემუშავებას მოიცავს, რომლებიც კანონების პრაქტიკული აღსრულებისა და მართლმსაჯულების სისტემის თანაბარი ხელმისაწვდომობის საშუალებას ქმნის. მართლმსაჯულების რეფორმის მიზნებში შემდეგი საკითხების შემუშავება შედის: კონსტიტუცია და კანონები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებსა და ადამიანის უფლებების ინსტრუმენტებს ემყარება; ეფექტური, ობიექტური და ანგარიშვალდებულები სასამართლო სისტემა; ერთიანი მიდგომა სისხლის სამართლისადმი; მექანიზმები მართლმსაჯულების სისტემაზე ზედამხედველობის განხორციელებისთვის.¹

გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. „გენდერი“ შესაბამისად ნიშნავს *გაცნობიერებულ* განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა „სქესი“ *ბიოლოგიურ*

¹ ეკონომიკური თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაცია, *OECD DAC სახელმძღვანელო უსაფრთხოების სისტემის რეფორმის შესახებ: უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების მხარდაჭერა*, გამოცემის პროექტი, (OECD: პარიზი), 2007 წ. გვ. 182.

განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის. გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გენდერი ეხება არა მხოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

დისკრიმინაციული კანონების რეფორმირება, ადამიანის უფლებების მხარდაჭერა და ხელშეწყობა

- მრავალ ქვეყანაში არსებობს კანონები, რომლებიც ზედმეტად დისკრიმინაციულია მიწის საკუთრების, მემკვიდრეობის (იხ. ჩანართი 1), გენდერულ ნიადაგზე ძალადობის, ბავშვთა მეურვეობის, სამუშაოზე აყვანის თუ სხვა საკითხების თვალსაზრისით. საჭიროა დისკრიმინაციული კანონებისა და მარეგულირებელი წესების რეფორმირება ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

მართლმსაჯულების მომსახურების ეფექტური, არადისკრიმინაციური უზრუნველყოფა

- სტერეოტიპები, დისკრიმინაციული დამოკიდებულებები და საპროცესო ბარიერები მართლმსაჯულების მომსახურების მიწოდებას ხელს არ უნდა უშლიდეს. სასამართლო სისტემის მთელმა პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მოიცავს სათანადო რეაგირებას ოჯახური ძალადობისა და სქესის ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე ძალადობის შემთხვევებზე.
- იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს გენდერულ ნიადაგზე ძალადობის დაუსჯელობას, საჭიროა ტრენინგის გამართვა სასამართლო სისტემის თანამშრომელთათვის, გენდერული საკითხების შესახებ არსებული საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

- მამაკაცებსა და ქალებს გააჩნიათ უფლება, რომ მათთვის მართლმსაჯულების სისტემები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს, რაც მოიცავს სასამართლოებს, გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმებს, ტრადიციულ/მიღებულ სისტემებსა და დაგების ალტერნატიულ მოგვარებას. მიუხედავად ამისა, ქალებისთვის მრავალი დაბრკოლება არსებობს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, როგორცაა: იურიდიული უფლებების შესახებ ცოდნის ნაკლებობა, კორუფცია, ჩვენების მიცემის შიში, რესურსების ნაკლებობა, ენობრივი ბარიერები და ბავშვებზე მზრუნველობის ნაკლებობა.

ჩანართი 1:

კენიაში მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ პრაქტიკაში არსებული დისკრიმინაციის დაძლევა

ჯენ ვათირიმ სასამართლოს მიმართლა, რათა მას კანონით გადაცემოდა იმ მიწის ნაკვეთის ერთი ნახევარი, რომელიც მის გარდაცვლილ მამას ეკუთვნოდა და რომელზეც ეს ქალბატონი საკუთარ ოთხ შვილთან ერთად ცხოვრობდა. მისმა ძმამ შემხვედრი სარჩელი შეიტანა იმ მოტივაციით, რომ სანამ მამამისი ცოცხალი იყო, ის მიწის უფრო დიდ ნაწილს ამუშავებდა, ვიდრე მისი და, და რომ შესაბამისად მას უფლება ჰქონდა მიწის ეს უფრო დიდი ნაწილი მიეღო.

მთავარმა მაგისტრატმა მოსამართლე ჰ. ა. ომონდომ აღმოაჩინა, რომ კიკუის ტრადიციული სამართლის მიხედვით, დაუქორწინებელ ქალს, როგორც იყო ჯენ ვათირი, მემკვიდრეობის თანაბარი უფლება არ გააჩნდა, ვინაიდან არსებობდა მოლოდინი, რომ ის გათხოვდებოდა. მაგისტრატმა ომონდომ დაადგინა, რომ აღნიშნული ტრადიციული დებულება დისკრიმინაციას წარმოადგენდა ქალთა წინააღმდეგ, რაც კენიის კონსტიტუციის 82(1)-ე მუხლს არღვევდა, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სქესის ნიადაგზე. აღნიშნული ასევე არღვევდა ბანჯულის ქარტიის 18(3)-ე მუხლს და „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის“ (CEDAW) 15(1)-(3)-ე მუხლებს, რომელიც კაცებისა და ქალების იურიდიულ თანასწორობას ითვალისწინებს. შესაბამისად, მაგისტრატმა ომონდომ, კანონის შესაბამისად, ჯენ ვათირისა და მის ძმას მათი მამის ქონების თანაბარი წილი გადასცა.²

წარმომადგენლობითი და ლეგიტიმური მართლმსაჯულების სექტორი

- თუ მართლმსაჯულების სექტორი აპირებს, რომ საზოგადოების თვალში ნდობა და რწმენა მოიპოვოს, მაშინ რეფორმის პროცესმა საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობა უნდა უზრუნველყოს, ქალების ჩათვლით, და მათი მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს.
- ლეგიტიმურობის დონის გაზრდის მიზნით, მართლმსაჯულების სექტორის პერსონალი იმ მოსახლეობას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც ის ემსახურება. ამჟამად ქალები დიდწილად არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი სასამართლო სისტემის უმეტეს დონეებზე, მოსამართლეებისა და ადვოკატების ჩათვლით.

² ქალ მოსამართლთა საერთაშორისო ასოციაცია, „თანასწორობის პროგრამების გადაწყვეტილებათა იურისპუდენცია.“ <http://www.iawj.org/jep/jep.asp>

შესაბამისობა საერთაშორისო კანონებით და ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან

მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში გენდერული საკითხების ინტეგრირების ინიციატივა არა მარტო სამუშაო ეფექტურობის საკითხია; ის ასევე აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა საერთაშორისო და რეგიონულ კანონებთან, ინსტრუმენტებსა და ნორმებთან, რომლებიც უსაფრთხოებასა და გენდერს ეხება. უმთავრესი ინსტრუმენტებია:

- *კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW, 1979)*
- *გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია №52/86 სისხლის სამართლის დანაშაულებათა პრევენციისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართული სისხლის სამართლის დონისძიებების შესახებ (1998)*

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი „საერთაშორისო და რეგიონული კანონები და ინსტრუმენტები“.

როგორ შეიძლება განხორციელდეს გენდერის ინტეგრირება მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში?

საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც გენდერის საკითხებზე სათანადოდ რეაგირებს

- ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების მიღება და მათი რატიფიცირება.
- კონსტიტუციის რეფორმირება ისე, რომ ის ადამიანის უფლებების თანასწორი გამოყენებისა და გენდერული თანასწორობის გარანტიას იძლეოდეს და გენდერის ნიადაგზე დისკრიმინაციასა და ძალადობას კრძალავდეს.
- არსებული ეროვნული კანონმდებლობის გადახედვა და ახალი კანონების მიღება, რათა გენდერის ნიადაგზე დისკრიმინაცია და ძალადობა აიკრძალოს.
- მუშაობა მართლმსაჯულების ტრადიციულ მექანიზმებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ამ მექანიზმებით დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები, ქალთა უფლებების ჩათვლით.

არადისკრიმინაციული პროცედურები და პრაქტიკა

- სასამართლო სისტემის პროცედურებისა და პრაქტიკის შესწავლა, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ არ აქვს ადგილი არასათანადო დისკრიმინაციას ქალების ან საზოგადოების სხვა ჯგუფების მიმართ.

საგანგებო ღონისძიებები გენდერულ ნიადაგზე ძალადობის წინააღმდეგ

- საგანგებო ღონისძიებების შემუშავება სექსუალური და ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით, მოწმეების და მსხვერპლთა დაცვის მიზნით, ასევე იმისთვის, რომ სასამართლომდე მისული საქმეების რაოდენობა გაიზარდოს. საგანგებო ზომები შეიძლება მოიცავდეს გენდერის მიმართ სენსიტიური მტკიცებულებების როლებს და პროცედურებს, რომლებიც მავნე სტერეოტიპებს არ ემყარება და რომლებიც თავიდან გვაცილებს გადარჩენილ მსხვერპლთა „ხელახალ ვიქტიმიზაციას“ (იხ. ჩანართი 2).

ტრენინგი გენდერულ საკითხებზე

- ქალთა უფლებების (ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო კანონმდებლობიდან გამომდინარე), გენდერულ ნიადაგზე ძალადობისთვის განკუთვნილი იურიდიული პროცედურებისა და სასამართლო სისტემის „გენდერიზებული“ ზეგავლენის შესახებ ტრენინგის გამართვა სასამართლო სექტორში არსებული ყველა მონაწილისთვის, მათ შორის, როგორცაა: მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, კერძო ადვოკატები, სასამართლოს აპარატის თანაშრომლები, პოლიციის წარმომადგენლები და ადვოკატის ასისტენტები.

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

- ადვოკატის ასისტენტების ჩართვა პროცესში, რათა გაძლიერდეს ზოგადად მოსახლეობის იურიდიული ცოდნა, ადამიანებისთვის იმის სწავლების გზით, თუ როგორ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემა, რა არის მათი იურიდიული უფლებები და როგორ გამოიყენონ ხელმისაწვდომი იურიდიული რესურსები.
- იურიდიული დახმარების გაწევა მოსახლეობის მარგინალიზებული ჯგუფებისათვის, ქალების ჩათვლით.
- სამოქალაქო საზოგადოების ისეთი ორგანიზაციების მხარდაჭერა, ქალთა ორგანიზაციების ჩათვლით, რომლებიც ხელს უწყობენ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას (იხ. ჩანართი 3).

ჩანართი 2:

საგანგებო მექანიზმები სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის სამხრეთ აფრიკაში

გამამტყუნებელი განაჩენების დაბალი პროცენტული მაჩვენებლის საპასუხოდ, სამხრეთმა აფრიკამ სექსუალურ დანაშაულებათა სასამართლოები და „თუთუხელას“ ცენტრები შემოიღო. სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებათა სასამართლოები სპეციალიზებულ სასამართლოებს

წარმოადგენენ, რომელთა მიზანია სექსუალურ შევიწროებასა და მასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისა და შესაბამისი სასჯელის დანიშვნის პროცესის დაჩქარება და გამარტივება; ამ სასამართლოების მთელ პერსონალს გავლილი აქვს სპეციფიკური ტრენინგი სექსუალურ დანაშაულებებთან დაკავშირებული საქმეების განხილვის საკითხებზე. „თუთუხელას“, ანუ „ნუგეშის“ ცენტრები უშუალოდ არის დაკავშირებული ამ სასამართლოებთან და გაუპატიურების მსხვერპლთათვის მომსახურების მიწოდების როლს ასრულებენ. ცენტრებს ჰყავთ პროექტის მენეჯერები და უზრუნველყოფენ საპოლიციო, ჯანდაცვით, საკონსულტაციო და იურიდიულ მომსახურებას ერთ ჭერქვეშ, რაც გაუპატიურების შემთხვევების უკეთესი მართვის საშუალებას ქმნის. გამამტყუნებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი 75-95%-მდე გაიზარდა და ტიპურ საქმეზე გადაწყვეტილება ახლა 6 თვის განმავლობაში მიიღება პირველი შეტყობინების თარიღიდან. აღნიშნული ცენტრების არსებობამდე, საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი საშუალოდ 18 თვიდან 2 წლამდე გრძელდებოდა.³

წარმომადგენლობითი სასამართლო სექტორი

- სასამართლო სისტემაში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, იმ ინიციატივების საშუალებით, რომლებიც მიმართულია ქალთა სამუშაოზე აყვანის, შენარჩუნებისა და დაწინაურების შემთხვევათა რაოდენობის ზრდაზე. შესაძლოა საჭირო გახდეს დროებითი საგანგებო ზომები ან დადებითი დისკრიმინაცია, როგორცაა იურიდიული სტიპენდიები ან კვოტები, იმისათვის რომ დაჩქარდეს პროგრესი პარიტეტის მიმართულებით (იხ. ჩანართი 4).

ზედამხედველობა და მონიტორინგი

- ჩართეთ მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში მთავარი დაინტერესებული მონაწილე მხარეები სასამართლო სისტემიდან, პროკურატურიდან, იურისტთა ასოციაციებიდან, პოლიციიდან, ციხეებიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან, ქალთა გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

³ „თუთუხელას“ მზრუნველობის ცენტრები, *ქვეყნის სტრატეგიამ გაუპატიურებათა წინააღმდეგ დამნაშავეთა დასჯის მაჩვენებლები გააუმჯობესა, 8 მაისი, 2006.*

<http://npa.gov.za/ReadContent407.aspx>

- გააძლიერეთ გენდერზე რეაგირების მაღალი დონის მქონე საერთაშორისო, ეროვნული და სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობისა და მონიტორინგის მექანიზმები. მაგალითად, ნაციონალური დონის ქალთა გაერთიანებას ან მიზნობრივ ორგანიზაციას, რომლის მოქმედების სფეროც სასამართლოებში გენდერული მიკერძოების საკითხებს მოიცავს, შეუძლია იმუშაოს იმისათვის, რომ სასამართლო სისტემა ანგარიშვალდებული იყოს სასამართლოებში გენდერული მიკერძოების, მოსამართლეთა დისკრიმინაციის ან გენდერულ ნიადაგზე ძალადობის არასათანადო დასჯის შემთხვევების აღმოფხვრაზე.

№4 ინსტრუმენტში ასევე მოცემულია...

- 9 საკითხი გენდერსა და მართლმსაჯულების რეფორმასთან დაკავშირებით
- საუკეთესო პრაქტიკა გაუბატურების იურიდიული განსაზღვრისა და კრიმინალიზაციის სფეროში
- რჩევები მიზნობრივი სამუშაო ჯგუფის შესაქმნელად, რომელიც სასამართლოებში გენდერული მიკერძოების საკითხებზე იმუშავებს
- კარგი პრაქტიკა მართლმსაჯულების ტრადიციული მექანიზმების გამოყენებისთვის
- რჩევები გენდერის ინტეგრირებისათვის სიმართლისა და შერიგების კომისიებში

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

კონფლიქტის შემდგომი პერიოდი უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის სტრატეგიების შემუშავებისთვის, რომლებიც კანონის უზენაესობის ხელახლა დაწესებასა და მართლმსაჯულების სექტორში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე, ასევე, მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში ქალთა უშუალო მონაწილეობაზეა მიმართული. სამშვიდობო პროცესი და კონფლიქტის შემდგომი გარდამავალი პერიოდი სტრატეგიულ საწყის წერტილებს წარმოადგენს გენდერულ ნიადაგზე ძალადობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ანგარიშვალდებულებების მხარდაჭერისათვის. გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმები, როგორცაა საგანგებო სისხლის სამართლის სასამართლოები, სიმართლისა და შერიგების კომისიები და რეპარაციის პროგრამები, ხშირად აღნიშნული ძალისხმევის პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ.

ჩანართი 3: საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობისა და გათვითცნობიერების გაზრდა ტიმორ ლესტეში

ტიმორ ლესტეში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ფოკუსერსი“ ხელმისაწვდომ იურიდიულ დახმარებას უზრუნველყოფს მდებარეობითი სქესის მსხვერპლთათვის და საზოგადოებრივ ინფორმირებულობას ამაღლებს ოჯახურ ძალადობასა და ქალთა იურიდიულ უფლებებთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციის საინფორმაციო ბროშურები მომსახურების მიმწოდებლებს, რელიგიურ ორგანიზაციებს, სამთავრობო უწყებებსა და კანონმდებლებს ურიგდებათ.⁴

გამოწვევები გენდერული საკითხების ინტეგრირებისათვის

- სასამართლო ხელისუფლება ხშირად დისფუნქციურია, მისი დამოუკიდებლობა დასუსტებულია და სისტემაში ხშირია კორუფცია.
- მრავალი კონფლიქტი მოიცავს მასობრივ სექსუალურ ძალადობას ქალებისა და გოგონების, ასევე მამაკაცებისა და ვაჟების წინააღმდეგ, რა საკითხებიც კონკრეტულად არის მოსაგვარებელი. მართლმსაჯულების კონფლიქტის შემდგომ განხორციელებული რეფორმის დროს.⁵ სექსუალური და ოჯახური ძალადობა ხშირად გრძელდება, გაზრდილი სიხშირით, კონფლიქტის შემდეგაც; მართლმსაჯულების მექანიზმები, რომლებიც მიმართულია გენდერულ ნიადაგზე ძალადობასთან დაკავშირებით სიტუაციის გამოსწორებაზე, გადაუდებელ პრიორიტეტს წარმოადგენენ.
- პოლიცია და სასჯელაღსრულების სისტემა ასევე წარმოადგენენ პრობლემის ნაწილს: პოლიციას არ გააჩნია შესაძლებლობა ან სურვილი, რომ ეფექტური რეაგირება მოახდინოს გენდერულ ნიადაგზე ძალადობის შემთხვევებზე, ხოლო ციხეები გადატვირთულია და იქ ისედაც მძიმე სიტუაციაა ძალადობასთან დაკავშირებით.
- ფართო საზოგადოებას, განსაკუთრებით ქალებს, არ გააჩნია ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ.

შესაძლებლობები გენდერული საკითხების ინტეგრირებისათვის

- შესაძლოა უფრო მეტი პოლიტიკური ნება-სურვილი არსებობდეს საერთაშორისო თანამეგობრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და

⁴ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმის სიდრმისეული კვლევა, გენერალური მდივნის ანგარიში (6 ივლისი, 2006), გაეროს დოკუმენტი A/61/122/Add.1, პუნქტი 299.

⁵ ბასტიკი, გრიმი და კუნცი, *სექსუალური ძალადობა შეიარაღებული კონფლიქტების მსვლელობისას: გლობალური მიმოხილვა და მოსალოდნელი შედეგები უსაფრთხოების სექტორისათვის*, (DCAF: უნევა), 2007.

ახლადშექმნილი მთავრობების მხრიდან, რომ განხორციელდეს ინვესტირება გენდერულ საკითხებზე რეაგირების მაღალი დონის მქონე მართლმსაჯულების სისტემის შექმნაზე მიმართული რეფორმის პროცესებში.

- მშვიდობის დამყარების პროცესს შეუძლია შექმნას საწყისი წერტილები ქალებისა და სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისათვის მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში, რაც მათ საშუალებას შეუქმნის, რომ საკუთარი საჭიროებები და პრიორიტეტები გამოხატონ.
- მართლმსაჯულების რეფორმის პროცესები ღიაა შესაძლებლობებისათვის, რომ განხორციელდეს გენდერული ტრენინგი და სამუშაოზე აიყვანონ უფრო მეტი ქალი, ასევე არასათანადოდ წარმოდგენილი ჯგუფების წარმომადგენელი.
- შესაძლოა არსებობდეს ფართო მხარდაჭერა გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების შექმნის მიმართ, რომლებიც გენდერული საკითხების მოცვის შესაძლებლობას ქმნის, გენდერულ ნიადაგზე ძალადობის ეფექტურად დასჯის ჩათვლით.

ჩანართი 4:

უფრო მეტი ქალი მოსამართლე ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში
ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ, საკუთარი რეზოლუციით 1366 (2004), გადაწყვიტა, რომ მეტად აღარ განიხილავდა კანდიდატთა ისეთ სიებს ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოსათვის, რომლებშიც არ იქნებოდა შესული თითოეული სქესის მინიმუმ ერთი კანდიდატი. აღნიშნული წესი ერთი წლის შემდეგ შეიცვალა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ერთი სქესის კანდიდატთა სიების წარდგენა იმ პირობით, რომ ისინი იმ მომენტისათვის ნაკლებად წარმოდგენილი სქესის კანდიდატები იქნებოდნენ (ამჟამად ეს გახლავთ ქალები). როდესაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული ზომის შესახებ, სასამართლოში 11 ქალი მოსამართლე და 32 მამაკაცი მოსამართლე იყო: ქალები სასამართლოს შემადგენლობის მხოლოდ 26%-ს წარმოადგენდნენ. 2007 წლის აპრილის მონაცემებით, სიტუაცია გაუმჯობესებული იყო, თუმცა უმნიშვნელოდ: სასამართლოში 14 მდედრობითი სქესის და 32 მამრობითი სქესის მოსამართლე იყო; ქალები სასამართლოს შემადგენლობის 30%-ს წარმოადგენდნენ.⁶

⁶ საერთაშორისო სიმპოზიუმი სექსუალური ძალადობის საკითხებზე კონფლიქტების დროს და მათ შემდგომ, ანგარიში, 21-23 ივნისი, 2006, ბრიუსელი, ეგმონტის სასახლე.
http://www.unfpa.org/emergencies/symposium06/docs/final_report.pdf

შეკითხვები მართლმსაჯულების რეფორმისათვის

ერთ-ერთი საუკეთესო გზა იმისათვის, რომ მოვახდინოთ საწყისი წერტილების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება გენდერის პერსპექტივების ინტეგრირებისათვის მართლმსაჯულების რეფორმაში, არის შეფასების განხორციელება. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მაგალითები შეკითხვებისა გენდერული საკითხების შესახებ, რომლებიც შესაძლოა დაგვეხმარონ იმაში, რომ სასამართლო სისტემის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი და შემდგომი შეფასება უფრო სრული იყოს.

- ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რომელი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები იქნა რატიფიცირებული?
- შეესაბამება თუ არა კონსტიტუცია და ეროვნული კანონები საერთაშორისო და რეგიონულ ვალდებულებებს ადამიანის უფლებების სფეროში, გენდერული თანასწორობისა და გენდერულ ნიადაგზე ძალადობის კუთხით?
- შეიცავს თუ არა ტრადიციული და რელიგიური კანონები და წეს-ჩვეულებები დისკრიმინაციულ პრაქტიკას?
- მიღებულია თუ არა ადეკვატური კანონები დისკრიმინაციის პრევენციისათვის – მაგ. კანონები, რომლებიც კრძალავს შემდეგს: დისკრიმინაცია იმ ქალებისა და მამაკაცების წინააღმდეგ, ვინც არის იმუნოდეფიციტის ვირუსის მატარებელი ან ვინც დაავადებულია შიდსით; დისკრიმინაცია ან სამსახურიდან დათხოვნა ორსულობის, დეკრეტული შვებულების ან ქორწინების ნიადაგზე; და სექსუალური შევიწროვება სამუშაო ადგილზე?
- აქვს თუ არა ადგილი დე ფაქტო და/ან დე იურე დისკრიმინაციას კანონებში ან მათი აღსრულებისას?
- არის თუ არა სასამართლო სისტემა სრულად და თანაბრად ხელმისაწვდომი ქალებისა და მამაკაცებისათვის, როგორც სოფლის, ასევე ურბანულ ტერიტორიებზე?
- არსებობს თუ არა გენდერთან დაკავშირებული იურიდიული ცოდნის მიწოდების პროგრამები?
- ხორციელდება თუ არა გენდერულ ნიადაგზე ძალადობის შემთხვევების ადეკვატური განხილვა და დასჯა? არსებობს თუ არა ადგილზე საგანგებო მექანიზმები იმისათვის, რომ მოწმეთა და მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა განხორციელდეს?
- გავლილი აქვს თუ არა მართლმსაჯულების სექტორის მთელ პერსონალს ადეკვატური ტრენინგი გენდერულ საკითხებზე?

- არის თუ არა მდედრობითი სქესის სამართალდამრღვევთათვის თანაბრად ხელმისაწვდომი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ზომები?
- არის თუ არა მართლმსაჯულების სექტორის ბიუჯეტი გენდერზე რეაგირების მაღალი დონის მქონე? აქ იგულისხმება, მაგალითად, გენდერული ტრენინგის ან ქალებისათვის იურიდიული დახმარების დაფინანსება.
- არსებობს თუ არა პოლიტიკები და პროცედურა იმისათვის, რომ გაიზარდოს მამაკაცებისა და ქალების თანაბარი წარმომადგენლობა მართლმსაჯულების სისტემაში?
- არიან თუ არა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ქალთა ჯგუფების ჩათვლით, სრულად ჩართულნი მართლმსაჯულების რეფორმის პროცესებსა და ზედამხედველობის და მონიტორინგის სტრუქტურებში?

დამატებითი ინფორმაცია

წყაროები:

ARC International – *იურიდიული დახმარება გენდერულ ნიადაგზე ძალადობასთან დაკავშირებით: მონაწილეობითი სახელმძღვანელო*, 2005.

ILAC – *პარტნიორობების შექმნა გენდერული სამართლის მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში*, 2005.

მოლინო და რაზავი, - *გენდერული სამართალი, განვითარება და უფლებები*, 2003.

ნესია, გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრი – *გენდერული სამართლის სერიები, სიმართლის კომისიები და გენდერი: პრინციპები, პოლიტიკები და პროცედურები*, 2006.

OECD DAC - *OECD DAC სახელმძღვანელო უსაფრთხოების სისტემის რეფორმის შესახებ – უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების მხარდაჭერა*, 2007.

ტესასის ცენტრი იურიდიული ეთიკისა და პროფესიონალიზმისათვის – *სახელმძღვანელო წესები გენდერის თვალსაზრისით ნეიტრალური პოლიტიკებისათვის სასამართლო დარბაზში*, 2001.

UNDOC – *სისხლის სამართლის მართლმსაჯულების წინასწარი შეფასების პრაქტიკული სახელმძღვანელო*, 2006.

მსოფლიო ბანკი – *გენდერული სამართალი და სიმართლის კომისიები*, 2006.

ორგანიზაციები:

საერთაშორისო იურიდიული დახმარების კონსორციუმი – www.ilac.se

ICTJ – www.ictj.org

გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. სასამართლო რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის
დანართი საერთაშორისო და რეგიონული კანონების და ინსტრუმენტების შესახებ

თითოეული ეს ინსტრუმენტი და პრაქტიკული მითითება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

www.dcaf.ch www.un-instraw.org და www.osce.org/odihr.

აღნიშნული პრაქტიკული მითითების ავტორია ნადია ნიერი, UN-INSTRAW, მე-4 ინსტრუმენტის საფუძველზე, რომლის ავტორია შელბი ქვასთი.